

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №57

03.04.2020 წ.

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე),
ლევან ჯაფარიძე, თარაშ შურღაია, ერეკლე კუხიანიძე, ლევან ჟორჟოლიანი, ლევან
ხაბეიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

მოწვეული სტუმრები:

1. გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო
საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. ქვარა ჩართოლანი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: გიორგი დოხტურიშვილი
(კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი დოხტურიშვილი მიესალმა დამსწრე
საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური
ანგარიში“ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 2
მარტის №12-03200621-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი/

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104
დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის მერის კაზა კალაძის 2020 წლის 27 მარტის №16-032008718-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კაზა კალაძის №12-03200661-03 (06.03.2020 წ.) და №12-032007370-03 (13.03.2020წ.) წერილები) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი -საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კაზა კალაძის 2020 წლის 13 მარტის №12-032007325-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი -საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე/

5. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კაზა კალაძის 2020 წლის 19 მარტის №12-032007915-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი -საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე/

6. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კაზა კალაძის 2020 წლის 30 მარტის №12-032009013-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი -საჯარო სამართლის
იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე/

7. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 30 მარტის №11-03200902-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი -საჯარო სამართლის
იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე/

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცებამდე სიტყვა ითხოვა კომისიის წევრმა ბატონმა ლევან ხაბეიშვილმა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას მიმართა შემდეგი წინადადებით (რეკომენდაციით), მსოფლიოსა და ქვეყანაში გავრცელებული ახალი კორონავირუსის (COVID-19) გამო, ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობისა და კარანტინის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების მუშაობა წარიმართოს საგანგებო რეჟიმში და სხდომებზე მხოლოდ ის საკითხები იქნას განხილული, რომელიც მოსახლეობის ინტერესებსა და ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს შეეხება.

ბ-ნმა ლ. ხაბეიშვილმა განცხადების გაკეთების შემდეგ სხდომა დატოვა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 2 მარტის №12-03200621-03 წერილი)

დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გ. თალაკვაძემ.

მომხსენებლის (გ. თალაკვაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ 2020 წლის 28 თებერვალს მიღებულ იქნა №20.242.316 განკარგულება

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 86-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ თბილისის საკრებულოში 2020 წლის 2 მარტს №12-03200621-03 წერილით გადმოიგზავნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ ინფორმაცია, შესაბამისი დანართებით.

წარმოდგენილი ინფორმაციის და შესაბამისი დანართების მიხედვით, 2019 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 63 085 200 (სამოცდასამი მილიონ ოთხმოცდახუთი ათას ორასი) ლარი, ხოლო 2019 წლის ბოლოსთვის -220 669 000 (ორას ოცი მილიონ ექვსას სამოცდაცხრა ათასი) ლარი.

ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 1 043 916 500 (ერთი მილიარდ ორმოცდასამი მილიონ ცხრაას თექვსმეტი ათას ხუთასი) ლარით, ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 1 160 126 200 (ერთი მილიარდ ას სამოცი მილიონ ას ოცდაექვსი ათას ორასი) ლარი, ანუ გეგმის 111.1%.

I შემოსავლები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 1 009 839 000 (ერთი მილიარდ ცხრა მილიონ რვაას ოცდაცხრამეტი ათასი) ლარი, ფაქტობრივად 1 101 206 000 (ერთი მილიარდ ას ერთი მილიონ ორას ექვსი ათასი) ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 109% და მთლიანი - შემოსულობების 94.9% შეადგინა.

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მოზილიზებულია 708 992 300 (შვიდას რვა მილიონ ცხრაას ოთხმოცდათორმეტი ათას სამასი) ლარი. წინა წელთან შედარებით (2018 წლის ფაქტი – 249 606 500 ლარი) მიმდინარე პერიოდში 459 385 800 (ოთხას ორმოცდაცხრამეტი მილიონ სამას ოთხმოცდახუთი ათას რვაასი) ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც გამოწვეულია 2018 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით. 2019 წლიდან საშემოსავლო გადასახადი და გათანაბრებითი ტრანსფერი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში აღარ ირიცხება და მათ ნაცვლად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში ნაწილდება.

დამატებული ღირებულების გადასახადი, ფაქტობრივად მიღებულია 497 806 500 (ოთხას ოთხმოცდაცხრამეტი მილიონ რვაას ექვსი ათას ხუთასი) ლარი.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 211 185 800 (ორას თერთმეტი მილიონ ას ოთხმოცდახუთი ათას რვაასი) ლარის შემოსავალი.

წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 189 851 900 ლარი) შედარებით 21 333 900 (ოცდაერთი მილიონ ოცდაცამეტი ათას ცხრაასი) ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე მოდის (2018 წელი - 152 709 000 ლარი).

II გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 151 112 100 (ას ორმოცდათერთმეტი მილიონ ას თორმეტი ათას ასი) ლარი, მათ შორის:

- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 645 500 (ექვსას ორმოცდახუთი ათას ხუთასი) ლარი (მათ შორის ევროკავშირიდან მიღებული გრანტი - „ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის“);
- სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 150 466 600 (ას ორმოცდაათი მილიონ ოთხას სამოცდაექვსი ათას ექვსასი) ლარი, კერძოდ:
 - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 460 000 (თხას სამოცი ათასი) ლარი (გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის);
 - გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ-ებიდან და ა(ა)იპ-ებიდან - 6 600 (ექვსი ათას ექვსასი) ლარი (ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს სახაზინო ანგარიშზე არსებული ნაშთის ბიუჯეტის ანგარიშზე ჩარიცხვა);
 - სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური, სპეციალური ტრანსფერი) - 150 000 000 (ას ორმოცდაათი მილიონი) ლარი (მათ შორის: გზების მშენებლობა-აღდგენისთვის - 10 904 800 (ათი მილიონ ცხრაას ოთხი ათას რვაასი) ლარი;
 - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებისათვის - 5 417 800 (ხუთი მილიონ ოთხას ჩვიდმეტი ათას რვაასი) ლარი;
 - საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციისათვის - 61 850 700 (სამოცდაერთი მილიონ რვაას ორმოცდაათი ათას შვიდასი) ლარი;
 - საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქციისათვის - 471 600 (ოთხას სამოცდათერთმეტი ათას ექვსასი) ლარი;
 - გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაციისათვის - 1 945 500 (ერთი მილიონ ცხრაას ორმოცდახუთი ათას ხუთასი) ლარი;
 - ქალაქის განვითარების ხელშეწყობისათვის (პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში გრძელდება ორბელიანის მოედანზე და ლადო გუდიაშვილის მოედანზე არსებული

საცხოვრებელი სახლების და მშრალი ხიდის და მიმდებარე არეალის სარეაბილიტაციო სამუშაოები) – 50 000 000 (ორმოცდაათი მილიონი) ლარი;

- გამწვანების ღონისძიებებისათვის - 13 376 000 (ცამეტი მილიონ სამას სამოცდათექვსმეტი ათასი) ლარი;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობისათვის - 6 033 700 (ექვსი მილიონ ოცდაცამეტი ათას შვიდასი) ლარი).

III სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 200 274 800 (ორასი მილიონ ორას სამოცდათოთხმეტი ათას რვაასი) ლარის ფაქტობრივმა შესრულებამ 241 101 600 (ორას ორმოცდაერთი მილიონ ას ერთი ათას ექვსასი) ლარი შეადგინა, რაც გეგმის 120.4 %-ია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 209 919 400 ლარი) შედარებით 31 182 200 (ოცდათერთმეტი მილიონ ას ოთხმოცდაორი ათას ორასი) ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. მათ შორის: პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 13 278 900 (ცამეტი მილიონ ორას სამოცდათვრამეტი ათას ცხრაასი) ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 10 932 600 ლარი) შედარებით 2 346 300 (ორი მილიონ სამას ორმოცდაექვსი ათას სამასი) ლარით მეტია.

დივიდენდებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 44 400 (ორმოცდაოთხი ათას ოთხასი) ლარი. (მათ შორის: შპს „წყნეთის საექიმო ამბულატორია - 4 100 ლარი, შპს „თბილისის სისხლის გადასხმის ამბულატორია“ – 18 700 ლარი, შპს ლილოს სამედიცინო ცენტრის მიერ - 1 100 ლარი და N19 მოზრდილთა პოლიკლინიკის მიერ - 20 500 ლარი).

რენტის სახით მოპოვებულია 5 136 600 (ხუთი მილიონ ას ოცდათექვსმეტი ათას ექვსასი) ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 1 819 100 (ერთი მილიონ რვაას ცხრამეტი ათას ასი) ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 3 317 500 (სამი მილიონ სამას ჩვიდმეტი ათას ხუთასი) ლარი.

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 151 430 000 (ას ორმოცდათერთმეტი მილიონ ოთხას ოცდაათი ათასი) ლარი, რაც გეგმის (142 175 000 ლარი) 106.5%-ია. მათ შორის: სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 74 044 900 (სამოცდათოთხმეტი მილიონ ორმოცდაოთხი ათას ცხრაასი) ლარი, რაც გეგმის (74 000 000 ლარი) 100.1%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 77 868 100 ლარი) შედარებით 3 823 200 (სამი მილიონ რვაას ოცდასამი ორასი) ათასი ლარით ნაკლებია. მიმდინარე პერიოდში ობიექტების მიხედვით მიღებული თანხები შემდეგნაირად განაწილდა: სათამაშო აპარატებიდან ბიუჯეტში მიღებულია 41 908 500 (ორმოცდაერთი მილიონ ცხრაას რვა ათას ხუთასი) ლარი (57%), სამორინეს მაგიდიდან - 26 139 600 (ოცდაექვსი მილიონ ას ოცდაცხრამეტი ათას ექვსასი) ლარი (35%), ხოლო დარჩენილი - 5 996 800 (ხუთი მილიონ ცხრაას ოთხმოცდათექვსმეტი

ათას რვაასი) ლარი (8%) ნაწილდება წამახალისებელ გათამაშებებზე და სხვა სახის ობიექტებზე.

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 48 312 700 (ორმოცდარვა მილიონ სამას თორმეტი ათას შვიდასი) ლარი, რაც გეგმის 47 000 000 (ორმოცდაშვიდი მილიონი) ლარის 102.8%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 47420 300 ლარი) შედარებით 892 400 (რვაას ოთხმოცდათორმეტი ათას ოთხასი) ათასი ლარით მეტია.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან მიღებულია 37 200 (ოცდაჩვიდმეტი ათას ორასი) ლარი, რაც გეგმის (70 000 ლარი) 53.2%-ია.

მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მიღებულია 13 180 100 (ცამეტი მილიონ ას ოთხმოცი ათას ასი) ლარი, რაც გეგმის (10 000 000 ლარი) 131.8%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 11 854 200 ლარი) შედარებით 1 325 900 ლარით მეტია.

სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 14 752 900 (თოთხმეტი მილიონ შვიდას ორმოცდათორმეტი ათას ორასი) ლარი, რაც გეგმის (10 850 000 ლარი) 136%-ია. მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე - 13 309 100 (ცამეტი მილიონ სამას ცხრა ათას ასი) ლარი.

მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე - 1 443 800 (ერთი მილიონ ოთხას ორმოცდასამი ათას რვაასი) ლარი.

სანებართვო მოსაკრებლის აკუმულირების მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (7 331 700 ლარი) მიმართებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც გამოწვეულია მშენებლობის ნებართვის განაკვეთის ზრდით (2018 წელი - 5 242 600 ლარი), ასევე, 2018 წელს დაწესდა ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე მოსაკრებელი.

მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 1 627 600 (ერთი მილიონ ექვსას ოცდაშვიდი ათას ექვსასი) ლარი, რაც გეგმის (1 900 000 ლარი) 85.7%-ია. მათ შორის: შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარით ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 1 611 500 (ერთი მილიონ ევსას თერთმეტი ათას ხუთასი) ლარი და შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან - 16 100 (თექვსმეტი ათას ასი) ლარი.

ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 59 281 900 (ორმოცდაცხრამეტი მილიონ ორას ოთხმოცდაერთი ათას ცხრაასი) ლარი შეადგინა, რაც გეგმის (40 000 000 ლარი) 148.2%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (38 250 700 ლარი) შედარებით 21 031 200 (ოცდაერთი მილიონ ოცდათერთმეტი ათას ორასი) ლარით მეტია, რაც ძირითადად გამოწვეულია საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის

ამოღებული ჯარიმების ზრდით (2018 წელი - 23 296 600 (ოცდასამი მილიონ ორას ოთხმოცდათექვსმეტი ათას ექვსასი) ლარი).

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 10 302 100 (ათი მილიონ სამას ორი ათას ასი) ლარი, რაც გეგმის (5 549 800 ლარი) 185.6%-ია. მათ შორის:

- შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 432 600 (ოთხას ოცდათორმეტი ათას ექვსასი) ლარი,
- წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 1 542 000 (ერთი მილიონ ხუთას ორმოცდაორი ათასი) ლარი,
- შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 4 347 800 (ოთხი მილიონ სამას ორმოცდაშვიდი ათას რვაასი) ლარი,
- შემოსავალი მწვანე ნარგავის აღდგენითი ღირებულებიდან - 76 600 (სამოცდათექვსმეტი ათას ექვსასი) ლარი,
- შემოსავალი სხვა მართვის უფლების გადაცემიდან - 2 318 800 (ორი მილიონ სამას თვრამეტი ათას რვაასი) ლარი,
- სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 1 584 300 (ერთი მილიონ ხუთას ოთხმოცდაოთხი ათას სამასი) ლარი.

არაფინანსური აქტივებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 57 300 200 (ორმოცდაჩვიდმეტი მილიონ სამასი ათას სამასი) ლარის შემოსავალი. მათ შორის: 25 927 100 (ოცდახუთი მილიონ ცხრაას ოცდაშვიდი ათას ასი) ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 31 373 100 (ოცდათერთმეტი მილიონ სამას სამოცდაცამეტი ათას ასი) ლარი.

ფინანსური აქტივების კლებიდან საანგარიშო პერიოდში მობილიზებული 1 619 200 (ერთი მილიონ ექვსას ცხრამეტი ათას ორასი) ათასი ლარიდან, 1 618 700 (ერთი მილიონ ექვსას თვრამეტი ათას შვიდასი) ლარი ასახულია ვალუტა და დეპოზიტების სახით (მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სესხის უზრუნველყოფის მიზნით წინა წლებში დეპოზიტზე განთავსებული თანხის დაბრუნება), ხოლო 0,5 ათასი ლარი ასახულია სესხების სახით (ბინათმესაკურეთა ამხანაგობების ფარგლებში გაცემული სესხის დაბრუნება).

ვალდებულებების ზრდის სახით საანგარიშო პერიოდში ასახულ იქნა - 0.8 ათასი ლარი (შემოსულობა საგარეო ფინანსური ვალდებულებების სახაზინო კოდზე ჩარიცხული თანხები, რომელიც არ წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვალდებულებების ზრდას).

**ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის
გადასახდელების შესრულების შესახებ**

2019 წლის გადასახდელების შესრულების 91%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 7%-ით ნაკლებია და თანხობრივ ჭრილში 2018 წელთან შედარებით დახარჯულია 64 033 600 (სამოცდაოთხი მილიონ ოცდაცამეტი ათას ექვსასი) ლარით ნაკლები *(აუთვისებლობის ძირითადი ნაწილი, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სპეციალური ტრანსფერის სახით მიღებულ სახსრებზე მოდის. აღნიშნული გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ საჭირო იყო განსხვავებული ზომის და კატეგორიის ავტობუსების ბაზრის კვლევა, რამაც მოითხოვა დიდი დრო და სატენდერო პროცედურების გაჭიანურება. შესაბამისად არ მოხდა თანხის გადარიცხვა).*

2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 106 066 800 (ერთი მილიარდ ას ექვსი მილიონ სამოცდაექვსი ათას რვაასი) ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 002 542 400 (ერთი მილიარდ ორი მილიონ ხუთას ორმოცდაორი ათას ოთხასი) ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 90.6%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 795 205 900 (შვიდას ოთხმოცდათხუთმეტი მილიონ ორას ხუთი ათას ცრაასი) ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 710 069 200 (შვიდას ათი მილიონ სამოცდაცხრა ათას ორასი) ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 89.3%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 70.8%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 301 209 000 (სამას ერთი მილიონ ორას ცხრა ათასი) ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 282 821 300 (ორას ოთხმოცდაორი მილიონ რვაას ოცდაერთი ათას სამასი) ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 94%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 28.2%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 9 651 900 (ცხრა მილიონ ექვსას ორმოცდათერთმეტი ათას ცხრაასი) ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 9 651 900 (ცხრა მილიონ ექვსას ორმოცდათერთმეტი ათას ცხრაასი) ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 1%-ია.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური
კლასიფიკაციის მიხედვით**

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 86 724 000 (ოთხმოცდაექვსი მილიონ შვიდას ოცდაოთხი ათასი) ლარის ოდენობით.

საკასო შესრულებამ შეადგინა 86 163 000 (ოთხმოცდაექვსი მილიონ ას სამოცდასამი ათასი) ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.4%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 12.1%-ია.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 143 873 600 (ას ორმოცდასამი მილიონ რვაას სამოცდაცამეტი ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.

საკასო შესრულებამ კი შეადგინა 137 144 300 (ას ოცდაჩვიდმეტი მილიონ ას ორმოცდაოთხი ათას სამასი) ლარი, რაც გეგმის 95.3%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 19.3%-ია.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1 559 700 (ერთი მილიონ ხუთას ორმოცდაცხრამეტი ათას შვიდასი) ლარის ოდენობით.

საკასო შესრულებამ კი შეადგინა გეგმის 100%, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.2%-ია. ამ მუხლიდან თანხები მიმართულ იქნა საშინაო ვალდებულებების მომსახურებაზე.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 181 802 100 (ას ოთხმოცდაერთი მილიონ რვაას ორი ათას ასი) ლარით.

საკასო შესრულებამ შეადგინა 181 518 100 (ას ოთხმოცდაერთი მილიონ ხუთას თვრამეტი ათას ასი) ლარი, რაც გეგმის 99.8%-ია, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 25.6%-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით ძირითადად დაფინანსებული იქნა საერთაშორისო ორგანიზაციებში საწევროს ხარჯები და სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი სსიპ-ების ხელშეწყობის ხარჯები სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 167 981 700 (ას სამოცდაშვიდი მილიონ ცხრაას ოთხმოცდაერთი ათას შვიდასი) ლარით.

საკასო შესრულებამ შეადგინა 167 429 500 (ას სამოცდაშვიდი მილიონ ოთხას ოცდაცხრა ათას ხუთასი) ლარი, რაც გეგმის 99.7%-ია, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 23.6%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 212 184 500 (ორას თორმეტი მილიონ ას ოთხმოცდაოთხი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

საკასო ხარჯი გაწეული იქნა 135 264 600 (ას ოცდათხუთმეტი მილიონ ორას სამოცდაოთხი ათას ექვსასი) ლარის მოცულობით, რაც გეგმის 63.7%-ია, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 19%-ია.

**ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულება:**

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 73,726.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (76 168 000 ლარი) 97%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 7.4%-ს შეადგენს. მათ შორის:

- აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 69 569 400 (სამოცდაცხრა მილიონ ხუთას სამოცდაცხრა ათას ოთხასი) ლარი, რაც გეგმის (71 569 000 ლარი) 97%-ია.
- ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 567 000 (ერთი მილიონ ხუთას სამოცდაშვიდი ათასი) ლარი, რაც გეგმის 100%-ია.
- სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 2 589 600 (ორი მილიონ ხუთას ოთხმოცდაცხრა ათას ექვსასი) ლარი, რაც გეგმის (3 032 000 ლარი) 85%-ია.
- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 1 441 100 (ერთი მილიონ ოთხას ორმოცდაერთი ათას ასი) ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 468 200 ლარი, რაც გეგმის 32%-ია, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 0.05%-ს შეადგენს. მათ შორის ამ მუხლში გათვალისწინებულია სასამართლო გადაწყვეტილებების და აღსრულების ფონდის ხარჯები.
- ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 273 661 100 (ორას სამოცდაცამეტი მილიონ ექვსას სამოცდაერთი ათას ასი) ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 193 910 500 (ას ოთხმოცდაცამეტი მილიონ ცხრაას ათი ათას ხუთასი) ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 71%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 19.5%. მათ შორის:
 - ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 191 949 100 (ას ოთხმოცდათერთმეტი მილიონ ცხრაას ორმოცდაცხრა ათას ასი) ლარი, ანუ გეგმის (271 637 500 ლარი) 71%;
 - სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 1 961 400 (ერთი მილიონ ცხრაას სამოცდაერთი ათას ოთხასი) ლარი, რაც გეგმის (2 023 600 ათასი ლარი) 97%-ს შეადგენს.
- გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 90 563 400 (ოთხმოცდაათი მილიონ ხუთას სამოცდასამი ათას ოთხასი) ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 86 402 100 (ოთხმოცდაექვსი მილიონ ოთხას ორი ათას ასი) ლარი, ანუ გეგმიური

მაჩვენებლის 95%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 8.7%. მათ შორის:

- ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურების დაფინანსებამ შეადგინა 53 200 000 (ორმოცდაცამეტი მილიონ ორასი ათასი) ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს შეადგენს;
 - ჩამდინარე წყლების მართვის დაფინანსებამ შეადგინა 2 416 800 (ორი მილიონ ოთხას თექვსმეტი ათას რვაასი) ლარი, რაც გეგმის (2,500.0 ათასი ლარი) 97%-ია;
 - ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 30 785 300 (ოცდაათი მილიონ შვიდას ოთხმოცდახუთი ათას სამასი), რაც გეგმის (34 863 400 ლარი) 88%-ს შეადგენს.
- საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 237 217 700 (ორას ოცდაჩვიდმეტი მილიონ ორას ჩვიდმეტი ათას შვიდასი) ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 233 003 500 (ორას ოცდაცამეტი მილიონ სამი ათასი ხუთასი) ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 23.5%.
 - ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 55 009 700 (ორმოცდათხუთმეტი მილიონ ცხრა ათასი შვიდასი) ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 54 368 000 (ორმოცდათოთხმეტი მილიონ სამას სამოცდარვა ათასი) ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 5.5%. მათ შორის:
 - საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ 39 355 300 (ოცდაცხრამეტი მილიონ სამას ორმოცდათხუთმეტი ათას სამასი) ლარი, ანუ გეგმის (39 981 700 ლარი) 98%;
 - სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 15 012 700 (თხუთმეტი მილიონ თორმეტი ათას შვიდასი) ლარი, რაც გეგმის 100%-ს შეადგენს.
 - დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 55 123 100 (ორმოცდათხუთმეტი მილიონ ას ოცდასამი ათას ასი) ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 51 078 100 (ორმოცდათერთმეტი მილიონ სამოცდათვრამეტი ათას ასი) ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 5.1%.
 - განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 156 498 800 (ას ორმოცდათექვსმეტი მილიონ ოთხას ოთხმოცდათვრამეტი ათას რვაასი) ლარი, საკასო შესრულებამ კი - 149 713 300 (ას ორმოცდაცხრა მილიონ შვიდას ცამეტი ათას სამასი)

ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 15.1%.

- სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 150 732 000 (ას ორმოცდაათი მილიონ შვიდას ოცდათორმეტი ათასი) ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 150 220 700 (ას ორმოცდაათი მილიონ ორას ოცი ათას შვიდასი) ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.7%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 15.1%.
- ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან საანგარიში პერიოდში გამოყოფილი 4 788 700 (ოთხი მილიონ შვიდას ოთხმოცდარვა ათას შვიდასი) ლარიდან გადარიცხულია 4 632 300 (ოთხი მილიონ ექვსას ოცდათორმეტი ათას სამასი) ლარი.

წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მიმართული სახსრები

2019 წელს წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის გამოყოფილი იქნა 2 000 000 (ორი მილიონი) ლარი, ხოლო გამოყოფილი ასიგნებების ათვისებამ შეადგინა 1 030 900 (ერთი მილიონ ოცდაათი ათას ცხრაასი) ლარი, რაც გეგმის 51.5%-ია.

სესხების მომსახურება და დაფარვა

სესხების მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 11 218 900 (თერთმეტი მილიონ ორას თვრამეტი ათას ცხრაასი) ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (11 219 000 ლარი) 99.9%-ია. აქედან, ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 1 559 700 (ერთი მილიონ ხუთას ორმოცდაცხრამეტი ათას შვიდასი) ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის - 9 651 900 (ცხრა მილიონ ექვსას ორმოცდათერთმეტი ათას ცხრაასი) ლარი. ამასთან, გადახდილია სხვა ხარჯები 7 300 (შვიდი ათას სამასი) ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:

- ❖ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 191 949 100 (ას ოთხმოცდათერთმეტი მილიონ ცხრაას ორმოცდაცხრა ათას ასი) ლარით, რაც გეგმის (271 637 500 ლარი) 70.7%-ია;
- ❖ ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 218 740 100 (ორას თვრამეტი მილიონ შვიდას ორმოცი ათას ასი) ლარით, რაც გეგმის (223 092 900 ლარი) 98%-ია;

- ❖ ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 90 762 900 (ოთხმოცდაათი მილიონ შვიდას სამოცდაორი ათას ცხრაასი) ლარით, რაც გეგმის (97 943 700 ლარი) 95.6%-ია;
- ❖ ეკონომიკის განვითარებისა ხელშეწყობა - 2 372 400 (ორი მილიონ სამას სამოცდათორმეტი ათას ოთხასი) ლარით, რაც გეგმის (2 497 100 ლარი) 95%-ია;
- ❖ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 20 760 400 (ოცი მილიონ შვიდას სამოცი ათას ოთხასი) ლარით, რაც გეგმის (20 927 500 ლარი) 99.2%-ია;
- ❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 205 328 500 (ორას ხუთი მილიონ სამას ოცდარვა ათას ხუთასი) ლარით, რაც გეგმის (206 596 100 ლარი) 99.4%-ია;
- ❖ განათლება - 156 392 400 (ას ორმოცდათექვსმეტი მილიონ სამას ოთხმოცდათორმეტი ათას ოთხასი) ლარით, რაც გეგმის (163 588 900 ლარი) 95.6%-ია;
- ❖ კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 28 982 100 (ოცდარვა მილიონ ცხრაას ოთხმოცდაორი ათას ასი) ლარით, რაც გეგმის (32 110 600 ლარი) 90.3%-ია;
- ❖ საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 3 876 200 (სამი მილიონ რვაას სამოცდათექვსმეტი ათას ორასი) ლარით, რაც გეგმის (3 884 700 ლარი) 99.8%-ია;
- ❖ ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 83 378 200 (ოთხმოცდასამი მილიონ სამას სამოცდათვრამეტი ათას ორასი) ლარით, რაც გეგმის (86 787 900 ლარი) 96.1%-ია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 2 მარტის №12-03200621-03 წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის შესრულების წლიური ანგარიშის“ ცნობად მიღებისა და მისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

შენიშვნა: სხდომის დატოვების გამო, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო კომისიის წევრმა ლ. ხაბეიშვილმა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

ცნობად იქნას მიღებული და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 2 მარტის №12-03200621-03 წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის შესრულების წლიური ანგარიშის“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 27 მარტის №16-032008718-03 წერილი)

დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გ. თალაკვაძემ.

მომხსენებლის (გ. თალაკვაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილებები განპირობებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის, სტრუქტურული ერთეულის და რაიონის გამგეობის წინადადებები დამატებითი მოთხოვნების შესახებ, რაც ზორციელდება მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიისა და სხვადასხვა პროგრამაში/ქვეპროგრამაში ღონისძიებების ღირებულების დაზუსტებით გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე. მოძიებული ეკონომიის გათვალისწინებით რესურსები გადანაწილდა ბიუჯეტის შესაბამის პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე.

სხდომაზე, კომისიის კომპეტენციიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე:

1. **გამწვანების ღონისძიებები (კოდი: 03 01) - დაფინანსება მცირდება:** 1 014 200 (ერთი მილიონ თოთხმეტი ათას ორასი) ლარით და პროგრამის დაფინანსების ოდენობა შეადგენს 46 741 900 (ორმოცდაექვსი მილიონ შვიდას ორმოცდაერთი ათას ცხრაასი) ლარს.
2. **დასუფთავების ღონისძიებები (კოდი: 03 02) - დაფინანსება იზრდება:** 1 230 000 (ერთი მილიონ ორას ოცდაათი ათასი) ლარით და პროგრამის დაფინანსების ოდენობა შეადგენს 69 030 000 (სამოცდაცხრა მილიონ ოცდაათი ათასი) ლარს.

დამატებით აღინიშნა, რომ:

იზრდება შემდეგი პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებები:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი: 01 02 01) - 30 000 000 (ოცდაათი მილიონი) ლარით;
- საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტები მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი: 02 01) - 1 432 900 (ერთი მილიონ ოთხას ოცდათორმეტი ათას ცხრაასი) ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი: 02 09 15) - 482 300 (ოთხას ოთხმოცდაორი ათას სამასი) ლარით;
- სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი: 06 02 18 07) - 74 100 (სამოცდათოთხმეტი ათას ასი) ლარით;
- სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი: 06 02 18 08) - 148 500 (ას ორმოცდარვა ათას ხუთასი) ლარით;
- სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი: 06 02 18 09) - 99 800 (ოთხმოცდაცხრამეტი ათას რვაასი) ლარით;
- სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი: 06 02 18 10) - 60 100 (სამოცი ათას ასი) ლარით;
- სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი: 06 02 18 11) - 22 800 (ოცდაორი ათას რვაასი) ლარით;
- სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი: 06 02 18 12) - 18 400 (თვრამეტი ათას ოთხასი) ლარით;
- სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი: 06 02 18 13) - 96 300 (ოთხმოცდათექვსმეტი ათას სამასი) ლარით;
- სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი: 06 02 18 14) - 37 000 (ოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარით;
- სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი: 06 02 18 15) - 40 400 (ორმოცი ათას ოთხასი) ლარით;
- სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმიდის რაიონში (კოდი: 06 02 18 16) - 31 500 (ოცდათერთმეტი ათას ხუთასი) ლარით;
- მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (კოდი: 07 03 03) - 84 800 (ოთხმოცდაოთხი ათას რვაასი) ლარით;
- იურიდიული კლინიკის პროგრამა (კოდი: 07 05 02) - 6 000 (ექვსი ათასი) ლარით;
- სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის პროგრამა (კოდი: 08 02) - 399 900 (სამას ოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხრაასი) ლარით;
- სპორტული ღონისძიებები (კოდი: 08 06 01) - 142 800 (ას ორმოცდაორი ათას რვაასი) ლარით;
- ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი: 08 08 01) - 42 000 (ორმოცდაორი ათასი) ლარით;
- სარეზერვო ფონდი (კოდი: 10 22) - 2 000 000 (ორი მილიონი) ლარით;

- წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი (კოდი: 10 26) – 1 585 200 (ერთი მილიონ ხუთას ოთხმოცდახუთი ათას ორასი) ლარით;
- ისნის რაიონის გამგეობა (კოდი: 10 33) – 140 000 (ას ორმოცი ათასი) ლარით.

გარდა ამისა, დაემატა ახალი ქვეპროგრამა - სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა (კოდი: 06 02 07) – 2 200 000 (ორი მილიონ ორასი ათასი) ლარი, მომუშავეთა რიცხოვნობა 153 ერთეული. ასევე, დაზუსტდა პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა. მათ შორის: იზრდება ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის მომუშავეთა რიცხოვნობა 1 ერთეულით, ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა მცირდება 1 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა ჯამურად გაიზარდა 153 ერთეულით.

მცირდება შემდეგი პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებები:

- გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი: 01 01 08) – 69 800 (სამოცდაცხრა ათას რვაასი) ლარით;
- გზების მოვლა-შეკეთება ნამალადევის რაიონში (კოდი: 01 01 09) – 32 900 (ოცდათორმეტი ათას ცხრაასი) ლარით;
- გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი: 01 01 12) – 51 000 (ორმოცდათერთმეტი ათასი) ლარით;
- გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი: 01 01 13) – 43 000 (ორმოცდასამი ათასი) ლარით;
- გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი: 01 01 14) – 34 200 (ოცდათოთხმეტი ათას ორასი) ლარით;
- გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი: 01 01 15) – 420 900 (ოთხას ოცი ათას ცხრაასი) ლარით;
- გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი: 01 01 17) – 102 200 (ას ორი ათას ორასი) ლარით;
- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი: 01 02 02) – 31 000 000 (ოცდათერთმეტი მილიონი) ლარით;
- ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი: 02 02) – 1 865 100 (ერთი მილიონ რვაას სამოცდახუთი ათას ასი) ლარით;
- სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, პროექტების ექსპერტიზა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი: 02 03 02) – 9 700 (ცხრა ათას შვიდასი) ლარით;
- ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი: 02 07) – 106 600 (ას ექვსი ათას ექვსასი) ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი: 02 09 10) – 195 000 (ას ოთხმოცდათხუთმეტი ათასი) ლარით;

- კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი: 02 09 11) – 152 200 (ას ორმოცდათორმეტი ათას ორასი) ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი: 02 09 12) – 348 100 (სამას ორმოცდარვა ათას ასი) ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი: 02 09 13) – 74 800 (სამოცდათოთხმეტი ათას რვაასი) ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი: 02 09 14) – 142 300 (ას ორმოცდაორი ათას სამასი) ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი: 02 09 16) – 116 900 (ას თექვსმეტი ათას ცხრაასი) ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი: 02 09 17) – 255 700 (ორას ორმოცდათხუთმეტი ათას შვიდასი) ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი: 02 09 18) – 77 000 (სამოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი: 02 09 19) – 46 500 (ორმოცდაექვსი ათას ხუთასი) ლარით;
- თბილისის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი: 05 01 08) – 518 500 (ხუთას თვრამეტი ათას ხუთასი) ლარით;
- თბილისის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი: 05 01 09) – 243 400 (ორას ორმოცდასამი ათას ოთხასი) ლარით;
- თბილისის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი: 05 01 10) – 77 300 (სამოცდაჩვიდმეტი ათას სამასი) ლარით;
- თბილისის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი: 05 01 11) – 18 500 (თვრამეტი ათას ხუთასი) ლარით;
- თბილისის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი: 05 01 12) – 219 000 (ორას ცხრამეტი ათასი) ლარით;
- თბილისის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი: 05 01 13) – 292 000 (ორას ოთხმოცდათორმეტი ათასი) ლარით;
- თბილისის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში (კოდი: 05 01 14) – 274 900 (ორას სამოცდათოთხმეტი ათას ცხრაასი) ლარით;
- თბილისის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი: 05 01 15) – 465 100 (ოთხას სამოცდახუთი ათას ასი) ლარით;
- თბილისის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი: 05 01 16) – 160 400 (ას სამოცი ათას ოთხასი) ლარით;
- თბილისის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი: 05 01 17) – 19 700 (ცხრამეტი ათას შვიდასი) ლარით;

- წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება საბურთალოს რაიონში (კოდი: 06 02 20 03) – 497 000 (ოთხას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარით;
- თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი: 06 02 21) – 4 200 (ოთხი ათას ორასი) ლარით;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ხელშეწყობა (კოდი: 07 01 02) – 1 111 700 (ერთი მილიონ ას თერთმეტი ათას შვიდასი) ლარით;
- საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი: 07 02 03) – 27 000 (ოცდაშვიდი ათასი) ლარით;
- თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფის პროგრამა (კოდი: 09 01) – 17 200 (ჩვიდმეტი ათას ორასი) ლარით;
- მერიის ადმინისტრაცია (კოდი: 10 02) - 239 000 (ორას ოცდაცხრამეტი ათასი) ლარით;
- კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი: 10 35) – 32 200 (ოცდათორმეტი ათას ორასი) ლარით.

მომხსენებელმა (გ. თალაკვაძემ) აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 021 400 600 (ერთი მილიარდ ოცდაერთი მილიონ ოთხასი ათას ექვსასი) ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება - 217 580 000 (ორას ჩვიდმეტი მილიონ ხუთას ოთხმოცი ათასი) ლარით.

ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, შეკითხვა დასვა ბ-ნმა გ. დობტურიშვილმა, რომელიც დაინტერესდა სარეზერვო ფონდის (კოდი: 10 22) ასიგნებების 2 000 000 (ორი მილიონი) ლარით ზრდის გამომწვევი მიზეზისა და საბოლოო (დაფინანსების გაზრდის შემდეგ დაზუსტებული) მაჩვენებლით.

დასმულ შეკითხვას უპასუხა მომხსენებელმა, ბ-ნმა გ. თალაკვაძემ, რომლის განმარტებით, სარეზერვო ფონდის (კოდი: 10 22) ასიგნებების ზრდა გამოწვეულია ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებით და დაფინანსების გაზრდის შემდეგ სარეზერვო ფონდის საერთო მოცულობა განისაზღვრება 4 680 000 (ოთხი მილიონ ექვსას ოთხმოცი ათასი) ლარით.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, ასევე, სხვა შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

